



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 17
24/04/2020

17-09-4-202004241633



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 მარტის N14 დადგენილებაში
„თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა)
დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 მარტის N14 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 24/03/2020 , 010250050.35.163.016506).

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“
2. დადგენილების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 აპრილის N11 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 25/04/2016, 010250050.35.163.016316).

3. დადგენილებას დაემატოს მუხლი 4 შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 5 ოქტომბრის N45 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 12/10/2015, 001025050.35.176.016104).

4. დადგენილებას დაემატოს მუხლი 5 შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 ივლისის N19 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/08/2011, 010020000.35.163.016048).

5. დადგენილებას დაემატოს მუხლი 6 შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.“

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

